122 №.

საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტია. ფასი 2 მანეთი

ოთხშაბათი, 10 დეკემბერი 1919 წ. № 221.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ქვეყანა

**რედაქცია** (ღიაა 9—2 და 5—7).
**საგაზეთო მასალა** უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.
**მისამართი:** ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის სახლი. **ფოსტის ადრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

**ადმინისტრაცია** (ღიაა 9—2 და 5—7).
**გაზეთის ფასი:** ერთი თვით 50 მან. 3 თვით 130 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 3 მ. უკანასკნელზე 2 მ. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოეული 75 მ., 12 საათის შემდეგ 100 მ.

**კვირას, 14 დეკემბერს, თეატრ „მინიატიურის“ დარბაზში დანიშნულია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის**

## საზოგადო კრება.

**მოხსენებებს სხვა და სხვა საკითხებზე გააკეთებენ: კომიტეტის თავმჯდომარე ალ. თორაძე, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი ვ. წერეთელი, და საბჭოს ფრაქციის თავმჯდომარე ტრ. ჯაფარიძე. ამის შემდეგ მოხდება ქალაქის კომიტეტის წევრების არჩევნები.**

---

ღრმათ დამწუხრებული შვილები: მიხეილ და მარიამი, დები: სონია, ლიზა და როზა; ძმები: მიხეილ, დავით, იოსებ, სიმონი და აბრამი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, ხანგრძლივ ავათმყოფობის შემდეგ

**პეტრე (ისაკ) მიხეილის ძე მოუშიაშვილის**

სოხუმში გარდაცვალებას. ჩამოსვენების დრო ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—1).

---

## განცხადება.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა მოუწოდებს ქვემო ჩამოთვლილ სავაჭროებისა და სამრეწველოების პატრონებს გამოცხადდენ გამგეობის დარბაზში თავიანთ წრიდან კომისიების ასარჩევათ, რომელთაც დაევალება ქალაქის საბჭოს მიერ მიღებული სანიტარული გადასახადის გადამხდელებზედ გაწერა (იხ. საქ. ქალ. და მაზრ. ერობ. სასარგ. ერთდრ. სანიტ. გადას. შემ. დეკრეტის მე-2 მუხლი) გაწერა უნდა მოხდეს ქვემო აღნიშნულ რიცხვიდან ორი კვირის განმავლობაში. უკეთუ რომელიმე დარგი უარს განაცხადებს გადასახადის განაწილებაზე, ან მათ მიერ განაწილების ნორმებს ქალაქის გამგეობა არ დეთანხმება, მაშინ თვით გამგეობა განაწილებს თავის მოსაზრებით გადასახადს, რომელიც გადამხდელებს უდაოთ გადახდება.

**11 დეკემბერს, დღით ხუთშაბათს, 1 საათზე.**

1. ბამბით და მატყლით სავაჭროები, საბნის მკერავები და გადამკვრელები (обойщикъ).
2. ბეჭდების და შტემპელების სახელოსნოები.
3. გამომჭრელები (закройщикъ), ევროპიული ტანსაცმელის მკერავები და თერძები.
4. დალაქები და პარიკმახერები.
5 ადგილობრივი შალით მოვაჭრენი.
6. ზეინკალი, ხარატი, იარაღის სახელოსნო, კავკასიური მაღაზია და მკალავები.

**12 ღეკემბერს, დღით პარასკევს, 1 საათზე.**

7. თამბაქოს მაღაზია.
8. კარეტნიკი, მჭედელი, ნალბანი და შორნიკი.
9. კარსეტების და ქალის შლიაპების, მოდის და ქუდების სახელოსნო.
10. ცივი სასმელებით სავაჭრო.
11. კუბოს მაღაზია და სტოლიარების სახელოსნო
12. მექანიკური და ელეკტრონული სახელოსნო.

**15 დეკემბერს, დღით ორშაბათს, 1 საათზე.**

13. სავაჭრო და სამრეწველო შენობების პატრონები.

**ქალაქის გამგეობა.**

## ღღიურრი.

მოხალისეთა არმიამ ქრისტეშ. 2-ს დაატყვევა გაგრისკენ მიმავალი საქართველოს ხომალდი „ჭოროხი“. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ეს ამბავი ნოტით აუწყა მოკავშირეთა მისიების წარმომადგენლებს და საქართველოს წარმომადგენლობას ევროპაში.

ხმები, თითქოს შეიდემანი ბოლშევიკებთან მოლაპარაკებას აწარმოებდეს, არ გამართლდა.

რუსეთის საბჭოთა მთავრობის მე-7 ყრილობამ დაადგინა, ანტანტასთან საზავო მოლაპარაკება განაგრძოს.

გერმანელ კომუნისტების კონფერენციაზე ფრაქციული განხეთქილება მოხდა.

გალიცია ავტონომიურ რესპუბლიკად გამოცხადდა.

ჰუნგრეთი საზავო კონფერენციაზე მიიწვიეს.

გამოქვეყნდა გერმანული საბუთები ომის დაწყების შესახებ.

დენიკინის ბრძანებით, რუს ოფიცრებმა აზერბეიჯანის ჯარის ნაწილები უნდა დასტოვონ.

## ოგსკურანტიზმი.

„ერთობამ“ ალიაქოთი ასტეხა (იხ. 7 დეკემბ. „ერთობის“ მოწინავე წერილი).

ფრანგები ამბობენ: მადა ჭამის დროს იღვიძებსო. სწორეთ „ერთობაზეა“ გამოჭრილი ეს ნათქვამი.

ეროვნული დემოკრატია სასტიკსა და სისტემატიურ ბრძოლას აწარმოებსო, სჩივის „ერთობა“ და მის წინააღმდეგ ყველა ძალების თავმოყრაა საჭიროო.

საოცარი კია „ერთობის“ მიერ წამოყენებული ბრალდება: ეროვნულ-დემოკრატიას სწადია სოციალისტური მმართველობა ბურჟუაზიული მმართველობით შესცვალოსო.

მაგრამ ჯერ ერთი, „ერთობის“ ტერმინოლოგია პირწმინდა დემაგოგიურია. ეროვნულ-დემოკრატიას სწადია შესცვალოს სოციალისტური მმართველობა არა ცალმხრივის, ბურჟუაზიულის, არამედ ეროვნულ-დემოკრატიული მმართველობით.

და, მეორე, რომელ პოლიტიკურ პარტიას არა სწადია თავისი თავის გაძლიერება?!

„ერთობა“ ფიქრობს: რა კი ისტორიამ დამოუკიდებლობის პირველ ხანაში სოციალ-დემოკრატია გააბატონა, ამ პარტიასვე უნდა შერჩეს ბატონობაო.

ირაკლი წერეთელიც ხომ ამბობდა: საქართველო ან სოციალ-დემოკრატიული იქნება, ან სულ არ იქნებაო.

მაგრამ ეს—მეტად ცალმხრივი შეხედულობაა.

მიიხედ-მოიხედეთ, „ერთობელებო“, და დარწმუნდებით, რომ ქვეყნად უცვლელი არა არის-რა.

და დროა შეეჩვიოთ აზრს, რომ სოციალ-დემოკრატიის მმართველობა დროებითია.

და ნუ გგონიათ, რომ უთქვენოთ ქვეყანა დაიღუპება.

აი, მაგალითად, საფრანგეთში სოციალისტები დამარცხდენ, როგორც საპარლამენტოს, აგრეთვე სამუნიციპალო არჩევნებში.

გერმანიაში სოციალ-დემოკრატიული სამინისტრო კრიზისს განიცდის და, უეჭველია, ახალი რეიხსტაგის არჩევნებში სოციალისტები დამარცხდებიან.

აპრილი ახლოს არის და ყველაფერს დაგვანახვებს.

ავსტრიაში სოციალისტური სამინისტრო უკვე გადადგა.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის შესახებ ხომ ლაპარაკიც მეტია: იმ ქვეყნებში სოციალისტებს არაოდეს არა ჰქონიათ ძალა.

მაშ რა გასაკვირველი იქნება, რომ საქართველოშიაც დამარცხდეს ის მიმართულება, რომელსაც საფუძვლად უტოპია უდევს.

ხალხი მუდამ სიზმარში ხომ არ იქნება?! გამოფხიზლება—ბუნებრივი აუცილებლობაა.

და უკვე ვხედავთ, იმის ნიშნებს, რომ ხალხი სწორის, რეალური პოლიტიკის გზაზე დადგომას აპირობს.

აუარებელმა თემმა საარჩევნო ხმა ეროვნულ-დემოკრატიას მისცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, უეჭველია, შემდეგს არჩევნებში ეროვნული დემოკრატია გაიმარჯვებს.

მეორე მხრით, თვით „ერთობა“ ამბობს: ეროვნული დემოკრატია შეიარაღებულ გამოსვლებს, ე. ი. ამბოხების პოლიტიკას არ წარმოებსო.

მართალია და უნდა იცოდეს „ერთობამ“: შეიარაღებული ამბოხება — სასოწარკვეთილების პოლიტიკაა, ავანტიურაა, რომელსაც მხოლოდ ის პარტია მიჰმართავს, რომელსაც ხალხის უმრავლესობა არ მიჰყვება.

იმავე დროს ამ წესით ჩაგდებული უფლება ხანჯალი და უშედეგო.

და ეროვნული დემოკრატიის გამარჯვება ევოლიუციური გზით წარმოობს.

მის მომხრეთა რაოდენობა თანდათან იზრდება და ბოლოს მთელ საქართველოს გაუთანასწორდება. მაშინ კი მმართველობა ბუნებრივათ გადავა მის ხელში.

და განა სოციალ-დემოკრატია ხალხის სურვილის წინააღმდეგი იქნება, და მართვა-გამგეობის საქმეს მაშინაც კი არ გაუშვებს ხელს, როდესაც ერის უმეტესობა ეროვნულ-დემოკრატიისაკენ იქნება?!

ეს ხომ მარქსიზმის უარყოფა იქნებოდა?!

უკეთ რომ ვსთქვათ, ეს — ბოლშევიზმი იქნებოდა, რომელსაც თანმიდევნებითი, სწორი მარქსიზმი არ იწყნარებს.

იმავე დროს ეს იქნებოდა სამოქალაქო ომის წარმოება.

და უნდა ვიცოდეთ: თუ კი რუსეთი დაფლითა სამოქალაქო ომმა, საქართველოს მთლად მოსპობს: მაშ არაფერი ისე საშიშარი არ არის პატარა ერისათვის, როგორც შინაური სისხლის მღვრელი ბრძოლა.

ამიტომ ჩვენს პოლიტიკურსა და ეკონომიურ ვითარებას ერთად-ერთი პარლამენტარული ბრძოლა შეეფერება.

პოლიტიკურ მიმართულებათ თავისუფალი სარბიელი უნდა ჰქონდესთ და, რომელიც გაიმარჯვებს — რასაკვირველია, მშვიდობიანი გზით — ძალა-უფლებაც მის ხელში უნდა იქნეს.

დღეს თუ სოციალ-დემოკრატიის ხელშია მართვა გამგეობა, ხვალ შეიძლება ეროვნულ-დემოკრატიის ხელში გადავიდეს, ზეგ სხვა პარტიის ხელში.

ეს — ხალხის შეგნებაზე იქნება დამოკიდებული.

ხალხის სურვილის შებორკვა კი — არადემოკრატიული, ბოლშევიკური დიქტატურა იქნებოდა.

ერთი რამეა აღსანიშნავი. როდესაც გაბატონებული პარტიის მოქმედებას ვაკრიტიკებთ, „ერთობა“ გაბოროტებით ამბობს: ეს — გაბატონებულ პარტიას სახელს უტეხს, მაშასადამე შეუწყნარებელიაო.

მაგრამ ამ ლოდიკას რომ მივყვეთ, სიტყვის, პრესისა და კრების თავისუფლება სრულიად უნდა მოვსპოთ!..

თუ თვითოეული მოქალაქე ვალ-

**ᲨᲐ. ᲒᲝᲛᲔᲚᲐᲣᲠᲘ.**

**ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ ᲐᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲑᲔᲜᲔᲤᲘᲡᲘ ᲒᲐᲓᲐᲣᲮᲐᲓᲔᲡ.**

დებული იქნება, ისე იფიქროს, როგორც გაბატონებული პარტია ფიქრობს, ხომ ბოროკილი დაედება აზრს, ხომ სრულიად მოისპობა აზრის თავისუფლება!

და განა იქ, სადაც აზრი თავისუფალი არ არის, კულტურისა და განათლების წარმატება შესაძლებელია?!

დიაღ! გაბატონებული პარტიის მოქმედების კრიტიკის აღკრძალვა — ნამდვილი ობსკურანტიზმია, მურვანყრუობაა, რომელსაც ევროპაში, კაი ხანია, ბოლო მოეღო.

ნუ თუ არ იცის ეს „ერთობამ“?!

## ᲛᲝᲮᲐᲚᲘᲡᲔᲗᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲐ.

დეკემბრის 2-ს დენიკინის სამხედრო გემმა დაატყვევა საქართველოს ხომალდი, რომელზედაც იყო 150 ქართველი ჯარისკაცი და 2.000 ფუთი ხორბალი.

იმავე დროს ფოთს თავს დაესხა მოხალისეთა სამხედრო გემი და უკუგდებულ იქნა ჩვენი გამანადგურებელის — „ტარიელის“ — მიერ.

მაშ დენიკინმა საქართველოს ომი გამოუცხადა.

არ ვიცით, ჩაგრეგიან თუ არა საქმეში უცხო სახელმწიფოები.

მხოლოდ მათ შეუძლიათ ჩააქრონ ცეცხლი.

და ცხადია: ჩვენთვის ყველაზე უფრო საჭირო მათი თანაგრძნობაა.

მაგრამ შეიძლება ისეთი პოლიტიკური კონიუნქტურა დაიბადოს, რომ უცხო სახელმწიფოებმა ნეიტრალური პოზიცია დაიჭირონ.

მაშინ დენიკინს ჩვენი საკუთარი ძალით უნდა შევებათ.

უნდა ვიცოდეთ: მარტონი არა ვართ: ჩვენთან არიან აზერბეიჯანი და მამაცი მთიელნი.

და, თუ კი მარტო ლეკებმაც კი გაუჭირვეს საქმე დენიკინს, საქართველო-აზერბეიჯან — ლეკეთ-საჩაჩნეთის შეერთებული ძალა სრულიად საკმაო იქნება, რომ მისი თავდასხმა მოვიგერიოთ.

ვინც — გარემოება იცის, ეს შესაძლებლობა მისთვის გასაკვირი არ იქნება: დენიკინი ბოლშევიკებმა სასტიკად დაამარცხეს. იმავე დროს მისი შინაური ფრონტიც დაირღვა:

ყუბანის კაზაკებსა და მას შორის დიდი უთანხმოებაა.

დენიკინს სწადია ახლა სახელი საქართველო-აზერბეიჯანის დაპყრობით მოიპოოს და ზურგი ჩვენით გაიმაგროს

სხვა საშუალება აღარა დარჩენია.

ქართველებო! შაჰბაზის შემოსევაზე უარესი იქნება დენიკინის შემოსევა!

ცეცხლითა და მახვილით მოსპობს საქართველოს!

დენიკინის აფიცრები იქადიან: საქართველოში ქვას ქვაზედ აღარ დავსტოვებთო, ქართველ ხალხს ისე მოვსპობთ, რომ მისი სახსენებელიც კი აღარ დარჩება ისტორიაშიო!

მაშ ყველა ქართველი, ვისაც კი თავისი თავი, თავისი ცოლშვილი და სახლკარი უყვარს და თავის წინაპართა ამაგი ახსოვს, დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზდა, როგორც კი მთავრობა დაუძახებს, ბრძოლის ველზე უნდა გავიდეს.

იმავე დროს ასეთ საბედისწერო ჟამს, როდესაც ერის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია გადასაწყვეტი, ყოველივე შინაური, პარტიული ბრძოლა უნდა შეწყდეს.

დენიკინთან ბრძოლაში ყველა პარტია და ყველა კლასი ერთად უნდა იყოს.

მხოლოდ მოღალატეობა არ უნდა იყოს შეწყნარებული.

მაშ მთელი საქართველო უნდა შეერთდეს, როგორც ერთი კაცი.

**ᲕᲐᲡᲘᲚ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ.**

## ᲛᲝᲮᲐᲚᲘᲡᲔᲗᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲖᲔ.

(საქ. დეპ. სააგენტო)

**ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘᲡ „ᲭᲝᲠᲝᲮᲘᲡ“ ᲓᲐᲭᲔᲠᲐ ᲛᲝᲮᲐᲚᲘᲡᲔᲗᲐ ᲛᲘᲔᲠ.**

(მთავრობის ცნობა).

ქრისტეშობისთვის 2 ს სოხუმიდან გაგრის მიმართულებით გაიგზავნა ხომალდი „ჭოროხი“ ბარჟით, რომელზედაც იყო 150 ჯარის-კაცი და ტვირთი. მთავრობის მიერ გაგრიდან მიღებულ ცნობით ეს ხომალდი დაატყვევა მოხალისეთა სამხედრო გემმა. მთავრობამ დაუყოვნებლივ მიჰმართა ლონისძიებას მომხდარ ფაქტის გამოსარკვევად.

**საგ. საქ. მინისტრის ნოტა.**

დარწმუნდა რა, რომ ტრანსპორტი ნამდვილად მოხალისეთა მიერ იყო წაყვანილი, საგარეო საქ. მინისტრმა ყველა მოკავშირეთა მისიების წარმომადგენლებს შემდეგი ნოტით მიჰმართა: „საქართველოს მთავრობამ გაგრიდან ცნობა მიიღო, რომ ქრისტეშობისთვის 2 ს მოხალისეთა არმიის სამხედრო გემმა ტყვედ წაიყვანა საქართველოს ხომალდი „ჭოროხი“ და ბარჟა, რომელზედაც იყო 150 ჯარისკაცი, 2000 ფუთი ხორბალი და სხვა ტვირთი. ეს ტრანსპორტი მიემგზავრებოდა სოხუმიდან გაგრას. ასეთნაირ მოქცევას საქართველოს მთავრობა უყურებს, როგორც სამხედრო მოქმედების დაწყობას მოხალისეთა არმიის მხრივ საქართველოს წინააღმდეგ. ვაცხადებთ რა სასტიკ პროტესტს მოხალისეთა ასეთ ძალადობის წინააღმდეგ, მაქვს პატივი მოვახსენო თქვენს უღმატებულესობას, რომ თუ ტყვედ წაყვანილი ხომალდი ჯარისკაცებითა და ტვირთით არ იქმნა უკანვე დაბრუნებული საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა პასუხს აღარ აგებს მოსალოდნელ შედეგებზე. საგარეო საქმეთა მინისტრი ... ...ორი.

ამასთან ... ... ...